პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 13 (12829) | ხუთშაბათი, 16 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პატაკები

ამონიუმის მწარმოებლებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). ამონიუმის საამქრო ერთ-ერთი წამყვანი წარმოებაა აზოტოვანი სასუქების ქარხანაში. იგი უშვებს ნახევარფაბრიკატს, ე. წ. ამონიუმს, რომლისგანაც შემდეგ ამზადებენ მინერალურ სასუქებს. საამქრომ (უფროსი დ. აბრამია) ახალი წელი წარმატებებით დაიწყო. იანვრის პირველი დეკადის დავალება აქ 102 პროცენტით შესასრულეს.

საამქროს შემოქმედებითმა კოლექტივმა ახალ წელს ახალი სიტყვა თქვა ქიმიის ტექნოლოგიაში. აქ წარმატებით იქნა გადაწყვეტილი სპილენძ-ამონიუმის კარბონატის ხსნარის ძმარმჟავათი შეცვლის მეტად რთული პროცესი. ამ ღონისძიების განხორციელება აიოლებს გაზის გაწმენდის ქიმიურ პროცესს, დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ტრაქტორი „რიონი“ მოდერნიზებულია

ქუთაისი. (საკ. კორ.). ტრაქტორ „რიონს“, რომელსაც ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა უშვებს, ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ მეურნეობაში ნახავთ. მაგრამ იმ რაიონებში, სადაც ძძიმე ნიადაგებია, მისი უყელა სამუშაოზე გამოყენება არ ხერხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ამ ტრაქტორის სიმძლავრე 5 ცხენის ძალას არ აღემატებოდა.

გადაწყდა კიდევ ერთნახევარი ცხენის ძალით გაედიდებინა ტრაქტორის სიმძლავრე. საამისოდ გამოიყენეს 6,5 ცხენის ძალის მცირეგაბარიტიანი ძრავი, რომელსაც ლენინგრადის კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხანა უშვებს. ახალი ძრავით მოდერნიზებული ტრაქტორი „რიონი-2“ გაცილებით მძლავრია და მას შეუძლია მძიმე ნიადაგები მოხნას 16 სანტიმეტრ სიღრმეზე, ხოლო მსუბუქი ნიადაგები — 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე.

მოდერნიზაციის შემდეგ თითქმის ორჯერ გახანგრძლივდა ძრავის სარემონტო-თაშორისო მუშაობის ვადა, შემცირდა საწვავის ხარჯვა.

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით აითვისა მოდერნიზებული ტრაქტორების წარმოება. უკვე გამოშვებულია 13 ცალი ტრაქტორი „რიონი-2“.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ახალი მარკის ტრაქტორის სერიული გამოშვება.

რენტაბელობის საიმედო გზით

ქუთაისის ავტომშენებელთა პატრიოტული ინიციატივას — უარი თქვან სახელმწიფო დოტაციაზე და მიიღონ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“ — შარშან პირველი გამოეხმაურა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი გ. შარიქაძე) კოლექტივი. აქ სიტყვა საქმედ აქციეს. 1963 წლის საწარმოო დავალების შესრულება სამშობლოს 7 დეკემბერს უპატაჟეს. შრომის სწორად მოწყობით, მანქანა-დანადგარების მაქსიმალურად გამოყენებით, ნედლეულისა და მასალების ეკონომიური ხარჯვით მკვეთრად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, მიიღეს იმდენი დაგროვება, რომ მთლიანად დაფარეს ყოველგვარი ხარჯი და სამშობლოს 914 ათასი მანეთი მოგება მისცეს.

დავიცვათ „რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“, გამოვუშვათ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია — ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ამ დევიზით ფეიერვერკმა ახალი ძალით გააჩაღეს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. პირველი წარმატება უკვე მოპოვებულია. წარმოების კოლექტივმა პირველი დეკადის დავალება 101 პროცენტით გაანაღდა.

როგორც ყოველთვის, ახალი წლიდან შრომაში კვლავ დაწინაურდა სართავი საამქრო № 1, რომელსაც უ. დათუნაშვილი ხელმძღვანელობს. აქ იანვრის პირველი დეკადის დავალება 103 პროცენტით გაანაღდეს და დიდი რაოდენობით დაზოგეს ბამბა. შრომის მაღალი ტემპი აიღო და ახალი წლის პირველი დიდანვე ყოველდღიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს ხარისხს საქსოვი საამქრო, რომელსაც ი. რატიანი უძღვება.

სასუქების მაღლი

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის საკითხებს განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც 10 თებერვალს გაიმართება. სოფლის მშრომელებმა უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. პირადად მე ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოღებისათვის ვემზადები. წელს ეფექტურად გამოვიყენებ მინერალურ სასუქებს, მკვეთრად გავადიდებ მოსავლიანობას და ნახევარ ჰექტარზე მივიღებ 10 ტონაზე მეტ „მწვანე ოქროს“.

მშობლიურმა პარტიამ სწორად განსაზღვრა სასუქების დიდი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალი წარმატებებისათვის აღმაფრთოვანებს.

ტატიანა ტუმანიშვილი,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ყდანონის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ვ ი ნ ა ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი

... ...

ლაშქრობა დიდი ქიმიისათვის

პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე

დიდი ქიმიის პრობლემები, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები, რომლებზეც განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს და პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს, კომუნისტთა მაღალი აქტივობისა და მომთხოვნელობის ნიშნით მიმდინარეობს.

დღეს ვაქვეყნებთ ზოგიერთი პარტიული კომიტეტის პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების მოკლე ანგარიშებს.

ცხინვალი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და ცხინვალის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი.

მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ჩიაევმა.**

პლენუმზე აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას, როგორ ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

დიდი სკკ-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ ოლქის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ლაბახუამ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ **თ. ბაღურაშვილმა.**

თელავი

ზოგადსანებელმა — თელავის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ალ. ვარდოშვილმა** და მოკამათეებმა პარტიული აქტივის კრებაზე აღნიშნეს, რომ რაიონის მშრომელებმა შარშან გარკვეული მიჯნები აიღეს სოფლის მეურნეობაში: წინა წლებთან შედარებით ბევრად მეტი მარცლეული მიეყიდა სახელმწიფოს. ხორცის ჩაბარების დავალება 105 პროცენტით შესრულდა, მატყლისა კი 129 პროცენტით. ზერეულს 1.200 ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი შეემატა. მინერალური სასუქების გამოყენებით მარცლეულის მოსავლიანობა ამაღლდა. 1960 წელთან შედარებით ჰექტარი სიმინდის ნათესიდან მიღებულ იქნა ათი ცენტნერით მეტი მარცვალი.

მაგრამ ამასთანავე ორატორებმა აღნიშნეს, რომ წარმატება გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მაქსიმალურად რომ იყენებდნენ არსებულ რეზერვებს, გაბედულად ნერგავდნენ ქიმიას, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას.

ბევრგან ადგილი აქვს მინერალური სასუქებისადმი უყაირათო დამოკიდებულებას. კოლმეურნეობათა უმრავლესობას სასუქების შესანახი საწყობები და ფარდულები არ გააჩნია.

კრებაზე ასახელებდნენ მიჯნებს, რომლებიც წელს საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა უნდა აიღონ, და ეხებოდნენ მოსავლიანობის ზრდის მთავარი რეზერვის — სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისთვის გადადგმული პრაქტიკულ ნაბიჯებს. რაიონში შეიქმნა აგრონქიმიის შემსწავლელი 100 სკოლა, სადაც 2.500-ზე მეტი კაცი სწავლობს.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

გარდაგანი

უზრუნველყონ თბილისი და რუსთავი ახალი ბოსტნეულოთა და მეცხოველეობის პროდუქტებით —ასეთია გარდაბნელ მშრომელთა საპატიო ამოცანა. ამიტომ უნდა იქნას რაც შეიძლება დაბლა — 15-20 სანტიმეტრ სიმაღლეზე. სანამ ხვნის შეკეთდგებოდეთ, ნასიმინდარი წინასწარ უნდა დავამუშაოთ დისკიანი საონი ფარცხით.

საონის თეფშები მუდმივად დაყენებული უნდა იყოს 35 გრადუსი კუთხით. თეფშები გალესილი უნდა იყოს, რომ არ გაუჭირდეს სიმინდის ღეროების ნარჩენების დაკრა-დაქუცმაცება; ჭარბტენიან ნიადაგებში საჭიროა ჩატარდეს ორი-სამი აოვა. ასეთი წესით დაჭრილი და ნიადაგში ჩახნული ნარჩენები მალე ლპება.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ნიადაგის ომშზადება თესვისათის. თესვიდან (მზრალად) ხვნის დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის. **წყალტუბოს** საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა შარშან შემოდგომაზე მზრალად მოხნეს ფარცხვა ძმიმე, კბილებიანი „ბზნტ-4,0“ მარკის ფარცხით. ამრიგად, სკობს **დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან ზონაში ხნულის თესვისწინა დამუშავება ჩატარდეს ჯერ „კრნ-3 კ“ მარკის კულტივატორით, შემდეგ ნიადაგის ჭვრელ გორიოებად დაშლისათვის, დაქუცმაცებისათვის, ღრმა გაფხვიერებისათვის გამოყენებულ იქნას ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ძმიმე, კბილებიანი ფარცხი, რომელსაც უნდა მიებას ჩვეულებრივი ზიგზაგები.**

აე დამუშავებულ ნიადაგში სიმინდის თესლი კარგად ამოდის, სარეველებს უძნელდებათ განვითარება, ხოლო ერთწლიანი სარეველები ისპობა. ნიადაგი სუფთავდება, მიკროორგანიზმების მოქმედება აქტიური ხდება, მაღლითა ფენა სწორდება და სწორგოროხოვანი ხდება. ნიადაგის ასე მომზადების შემდეგ გადადგმულდება ნათესების შემდგომი მექანიზებული დამუშავება.

თესვის წინ ნიადაგის მომზადების გარდა უნდა მოსავლის მიღებისათვის საჭიროა თესლი იყოს მაღალი ხარისხის, მაღალი სიმტკიცე, შეწმენდილი და ფარცხვა ფარცხით. ამრიგად, სკობს **ლეონ ბაბაევ**ის, **ბ. ბერეზოვ**ის, **ბ. ბოლოკინ**ის, **ბ. ბოლოკინ**ის, **ბ. ბოლოკინ

საერთაშორისო
დეკეფეში ცნობილი ეროვნული
ცხოვრება

პანამა ბრალს სდებს ამერიკას

„ხელები შორს პანამისაგან!"

მონტევიდეო. „იანკი, წაეთრიეთ პანამიდან!"; „გაუმარჯოს პანამას!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ურუგვაის დედაქალაქში საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიულ მოქმედებას მიმართავენ პანამაში.

პანამის სამართლიან მოთხოვნებს მხარს უჭერს ურუგვაის პროგრესული პრესა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს განთავისუფლების მემარცხენე ფრონტის, სოციალისტური პარტიის, მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის, უნივერსიტეტის სტუდენტთა ფედერაციისა და სხვა ორგანიზაციათა განცხადება, რომლებმაც დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება.

ნიუ-იორკი. „შეწყდეს ამერიკის შეიარაღებული აგრესია პანამაში!", „პანამის არხის ზონა პანამას ეკუთვნის!" — ასეთი ლოზუნგებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე ახალგაზრდა ნიუ-იორკელები, წევრები, ორგანიზაციისა „ახალგაზრდობა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგიანი". ფურცლებში, რომლებსაც ორგანიზაციის წარმომადგენელი აერიცილებდა, მკვეთრად არის დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება.

„პანამის კრიზისი შეიძლება გვეწინასწარმეტყველა", — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი სულცბერგერი. შეერთებულმა შტატებმა, აღნიშნავს იგი, უკვე დიდი ხანია იცოდნენ, რომ „პანამელთა შორის გაძლიერდა უკმაყოფილება", რადგან „პანამის არხის მთელი ისტორია კოლონიალიზმის მკაფიო მაგალითია". სულცბერგერი აღიარებს, რომ პანამის უკანასკნელი ამბები უძლიერესი ანტიკოლონიური და ანტიამერიკული განწყობილების გამოვლინებაა მთელ მსოფლიოში, და წერს, რომ „გლობალურ ანტიკოლონიურ აფეთქებას შეუძლია შთანთქოს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის ყველა სამფლობელო".

პარიზი. პროტესტს პანამაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ შეიტანს განცხადება, რომელიც დემოკრატიორისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და პანამის მთავრობებს. ასოციაცია მოითხოვს იმას, რომ ამერიკის ჯარები გაიყვანონ არხის ზონიდან, დაუყოვნებლივ ცნონ პანამის სუვერენიტეტი ამ ზონაში, აგრეთვე მოითხოვს არხის ნეიტრალიზაციას.

ПРОВОКАЦИЕБИ გრძელდება

ნიკოზია, 15 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ხემიონოვი იტყობინება:

კვიპროსის თურქი ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ მდგომარეობა კუნძულზე, განაგრძობენ კუნძულის გაყოფის კურსს. ქმნიან თურქთა ხელისუფლების უკანონო სეპარატისტულ ორგანოებს. გაზეთების ცნობებით, თურქთა თემებში სახელდახელოდ შექმნილია ეგრეთ წოდებული თურქთა უშიშროების სახელმწიფო ცენტრი, თურქთა ფოსტა, პოლიცია, კავშირგამბმულობის ცენტრი, საინფორმაციო ცენტრი და სხვა სამსახურები. თურქთა იძულებით გასახლება იმ რაიონებიდან, სადაც ისინი ბერძნებთან ერთად ცხოვრობენ, სულ უფრო ფართო მასშტაბით ხდება.

გაზეთი „ხარავგი" აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის ცნობას. ეს კორესპონდენტი იყო სოფელ პიროში, სადაც ცხოვრობენ ბერძნები და თურქები. „სოფელ პიროში, — წერს გაზეთი, — ცხოვრობდა 85 კვიპროსელი თურქი. მათ ძმური ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან. თურქი ექსტრემისტები შეიჭრნენ მათ ცხოვრებაში და ძალით გადაასახლეს სოფელ ლურუჯინაში, უნდა გენახათ თურქთა ტრაგედია, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მშობლიური ადგილები, ახლობლები და მეგობრები, კვიპროსელი ბერძნები, ვისთანაც ათეული წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ". გაზეთი იტყობინება, რომ სოფლების პოტამიისა და დალის კვიპროსელმა თურქებმა უარი განაცხადეს დაეტოვებინათ მშობლიური ადგილები. „არ წავალთ ჩვენი სოფლიდან!" — განაცხადეს სოფელ პოტამიის გლეხებმა. მათ სოფელში თურქებმა ბერძნებთან ერთად შექმნეს სოფლის კომიტეტი, რომელზეც გადაწყვიტეს, რომ შემდეგშიდაც ერთად იცხოვრებენ. სოფელ დალიდან, სადაც ორასზე მეტი თურქი ცხოვრობს, ექსტრემისტებმა შეძლეს მხოლოდ ოთხი კაცის გასახლება. „დე მომკლან, — განაცხადა ამ სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, არასოდეს არ დავტოვებ მშობლიურ სოფელს".

თავიანთი მოქმედებით, რაც მიზნად ისახავს კუნძულის გაყოფას, თურქი ექსტრემისტები შფოთსა და არეულობას ქმნიან კუნძულის მოსახლეობის ფართო მასებში. ამ არეულობას აორკეცებს ისიც, რომ დღემდე გრძელდება თურქ ტერორისტთა პროვოკაციები. გუშინ სოფელ გოშში შეიარაღებულმა თურქმა ტეროორისტებმა ცეცხლი დაუშინეს კვიპროსელ პოლიციელებს, რის შედეგად 4 პოლიციელი დაიჭრა. ნიკოზიაში თურქმა ექსტრემისტებმა შეიპყრეს სამი ბერძენი მოქალაქე, რომლებიც სამუშაოზე მიდიოდნენ. ამ მოქალაქეთა ბედი დღემდე გამოურკვეველია.

ПАНАМИС АМБЕБИ

ვაშინგტონის მანევრები

ვაშინგტონი, 14 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედწენკო იტყობინება: შეერთებული შტატები არ აპირებენ დაკმაყოფილონ პანამის კანონიერი მოთხოვნები უსამართლო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ, რომელიც შეერთებულმა შტატებმა მოახვიეს თავს პანამას 1903 წელს „ქვემეხთა დიპლომატიის" სამუალებით. აშერიკის შეერთებულმა შტატებმა საფუძვლად თქვეს, რომ პანამის არხის ზონის ინტერნაციონალიზაციის ყოველგვარი გეგმების წინააღმდეგი იქნებიან და არ დათმობენ თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ „უფლებებს" ამ რაიონში.

თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში გაძლიერებით უსვამენ ხაზს, რომ მთავარი მიზანი ამერიკის მისიისა, რომელსაც მეთაურობს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამერიკის ქვეყნების საქმეებში თომას მანი და რომელიც პანამაში იყო პრეზიდენტ ჯონსონის ბრძანებით, ის არის, რომ მიაღწიოს „კანონიერებისა და წესრიგის" აღდგენას. ყველა სხვა საკითხი, რომლებიც ამერიკა-პანამის ურთიერთობას შეეხება, აღნიშნავენ ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში, შეიძლება განხილულ იქნეს მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც აღსდგება მშვიდობა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა, რომელიც გუშინ ტელევიზიით გამოვიდა, პანამის მთავრობას განუცხადა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ დათმონ თავიანთი პოზიციები.

პანამის მთავრობა, როგორც ცნობილია, მტკიცედ მოითხოვს ხელშეკრულების ძირეულ გადასინჯვას. იგი მოითხოვს არხის ექსპლოატაციის შემოსავალში გადიდდეს მისი წილი, რომელიც ახლა 2 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. მთავრობა მოითხოვს ბოლო მოეღოს დისკრიმინაციას, რასაც პანამელთა წინააღმდეგ მიმართავს არხის ამერიკელთა ადმინისტრაცია, და აღსდგეს პანამის კანონიერი უფლებანი არხის ზონაში, რომელიც პანამის რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია.

ვაშინგტონი ახლა მიმართავს დიპლომატიურ და პოლიტიკურ მანევრებს იმისათვის, რომ მოაწესრიგოს შეერთებული შტატებისათვის მეტად სერიოზული კრიზისი პანამაში და ამასთანავე არსებითად არაფერი დაუთმოს პანამელებს, ხელშეუხებლად შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო პოზიციები ამ ქვეყანაში.

პოლიტიკური და დიპლომატიური მოლაპარაკება პანამის მთავრობასთან მიმდინარეობს მისი დაშინებისა და მუქარის პირობებში, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მიმართავენ. წარმომადგენელთა პალატის წევრმა კენნემა (დემოკრატი, მისურის შტატისაგან) ბრალად დასდო პანამის მთავრობას, რომ იგი „შანტაჟს" ეწევა. წარმომადგენელთა პალატის ამერიკის სახელმწიფოთა საქმეების ქვეკომისიის თავმჯდომარე სელდონი (დემოკრატი, ალაბამის შტატისაგან) ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს „კანონიერი და მორალური უფლება აქვთ არხის ზონის მიმართ, და მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა განაცხადონ, რომ „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან არხის ზონაში მყოფი ამერიკელი მოქალაქენი".

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, თომას მანის მისიის მოლაპარაკება პანამის მთავრობასთან დამთავრდა შეთანხმებით იმის შესახებ, რომ შეიქმნას პანამის არხის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების გაერთიანებული ორგანო. მიღწეული არ ყოფილა არავითარი სხვა არსებითი შეთანხმება, რომელიც პანამის მოთხოვნებს ითვალისწინებდეს. შეერთებულმა შტატებმა უყურადღებოდ დატოვეს პანამის მთავრობის ძირითადი მოთხოვნები. თომას მანმა გუშინ „სრული მოხსენება" გაუკეთა პრეზიდენტ ჯონსონს პანამის მდგომარეობის შესახებ. პანამაში შემდგომი მოლაპარაკებისათვის დროებით დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ამერიკის ქვეყნების საქმეებში ედვარდ მარტინი.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა პანამის მიმართ, ამასობაში ხულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ პანამელ ხალხს.

რუმინეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების წლების მანძილზე ფართოდ განვითარდა ქიმიური მრეწველობა. რუმინეთის ქიმია — ეს არის 3.500 სახეობის პროდუქცია: სინთეზური ნართი და ბოჭკო, მინერალური სასუქები და პლასტმასები, საღებრები და სამეურნეო ნივთიერებანი, ლელის ცელულოზა და ლაქები. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ქიმიის ერთ-ერთი საწარმო იმ საწარმოთაგან, რომელნიც უკანასკნელ წლებში ჩადგნენ მწყობრში, სევინეშტის ხელოვნური ნართისა და ბოჭკოს კომბინატია.

სურათზე: კომბინატის როლონის ნართის სამაქრონში.

ფოტო აჯერპრეს-საკდესისა.

„ГЛОКАДИС ГАРЕГВЕВА"

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" ბეჭდავს მოწინავე სტატიას სათაურით „ბლოკადის გარღვევა".

შესაძლოა, რომ პრემიერი კასტრო ვაჭრობისა და პოლიტიკის შესახებ მოლაპარაკებას კრემლში მეტ დროს მოანდომებს, ვიდრე საბჭოთა კავშირის ტყეებში ნადირობას, რადგან ეკონომიურ ნადირობაში იგი განსაცვიფრებელ წარმატებებს აღწევს, წერს გაზეთი.

ინგლისის ავტობუსების შესყიდვის შედეგად მან შეძლო შეენარჩუნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული ემბარგოს კედელი... ეს გარიგება, რომელსაც მოჰყვა ის, რომ დასავლეთის სხვა ქვეყნების კონკურენტი ფირმები გაცხოველებით სთავაზობენ თავიანთ პროდუქციას კუბას, მნიშვნელოვანი ეკონომიური გამარჯვებაა.

კუბის ეკონომიური იზოლაციის ვაშინგტონის გეგმაში ყოველთვის იყო ხარვეზები. შეერთებული შტატების აშკარა ოპოზიციის მიუხედავად, კუბასთან ვაჭრობა ზომიერი მასშტაბით წარმოებს.

მაგრამ ის, რომ მხოლოდ ინგლისის ერთმა კომპანიამ მიჰყიდა 11 მილიონი დოლარის 400 ავტობუსი კუბას, მარტოოდენ ბლოკადის გარღვევა როდია. ამ გარიგების მასშტაბი და კრედიტის ხელსაყრელი პირობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მას, რადგან, მისცეს რა კრედიტი ხუთი წლით და უფლება იყიდოს კიდევ 1000 ავტობუსი, ინგლისელებმა ფაქტიურად გაანაცხადეს, რომ ეკონომიურ ზეგავლენას არ შეიძლება მოჰყვეს კასტროს დამხობა. და რამდენადაც კუბის შაქრის მაღალი ფასები დაწესდა მსოფლიო ბაზარზე, სხვა საღად მოაზროვნე ბიზნესმენებსაც სურთ ივაჭრონ კუბასთან.

საფრანგეთმა და დასავლეთმა გერმანიამ უკვე დადეს გარიგებანი კასტროსთან, ხოლო სხვები ემზადებიან ამისათვის. იტალია ეს-ეს არის დათანხმდა შემოიტანოს შაქარი კუბის ადრინდელი ვალის დასაფარავად, რაც მოამზადებს ნიადაგს ვაჭრობის განახლებისათვის. ესპანეთი—ფრანკოს ესპანეთი აპირებს გემები მიჰყიდოს შაქრის საწაგალოდ, თუმცა მოლაპარაკებს კონტრაქტის შესახებ შეიძლება მოჰყვეს ამერიკის დახმარების შემცირება.

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, დიდი განსხვავება არ არის, მიეყიდა კუბას ავტობუსები ან სხვა არასტრატეგიული საქონელი თუ ხორბალი. შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ კასტრო უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე კრემლი და რომ ავტობუსები უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე სურსათი, მაგრამ სხვა მოკავშირენი დარწმუნებული არ არიან ამაში. ისინი არაფერ ცუდს არ ხედავენ კუბასთან — ან თუნდაც ჩინეთთან ვაჭრობაში, — თუ ეს ვაჭრობა განისაზღვრება არასტრატეგიული მასალებით და თუ იგი იძლევა მოგებას. მათ ისიც კი აბრაზებს, რომ ამერიკამ ნაოსნობა შეიტანა შავ სიაში, რომელიც ზღვათა ტრადიციული თავისუფლების საქმეში გაუმართლებელ ჩარევად ითვლება, სანამ ამ ხორციელდება სანქციებისა და ომის პოლიტიკა.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა...

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა საირუს ვენსმა გააკეთა „სენსაციური" განცხადება, რომელშიც შეეცადა პანამაში მომხდარი სისხლიანი ამბებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებინა „კომუნისტური აგენტებისათვის, რომლებიც კუბაში მომამზადესო". ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრმა გამოაცხადა ზუსტი რიცხვი „კასტროს აგენტებისა", რომლებიც პანამის ხელისუფლებმა შეიპყრეს, და მადლობა გადაუხადა პანამის ეროვნულ გვარდიას მათი დაკავებისათვის.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრის განცხადებამ გაკვირვება გამოიწვია პანამაში. პანამის პრეზიდენტის გვარდიის უფროსმა ანხელ არაუზმა, რომელსაც ვენსმა მიუღოცა „კომუნისტური აგენტების შეპყრობა", განაცხადა, რომ „არაფერი არ იცის" იმ პირების დაპატიმრების შესახებ, რომლებიც ახსენა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა. პანამის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტმა ბენედეტიმ უთხრა პრესის წარმომადგენლებს: ვენსის განცხადება ჩემთვის „ახალი ამბავიაო".

სხვადასხვა მერიდიანზე

□ **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის 259 მოქალაქე გადასახლდა ახალი წლის პირველ ათ დღეში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუწყება ადენის სააგენტო. გასული წლის ივლისიდან დეკემბრამდე ახალი ცხოვრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო 2.021 მუშამ, 196 გლეხმა, 78 ხელოსანმა და ინტელიგენციის 41 წარმომადგენელმა.

□ **პნომ-პენში** გამოქვეყნდა კამბოჯა-ინდონეზიის ერთობლივი კომუნიკე, რომელსაც ხელს აწერენ კამბოჯის მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო. კომუნიკეში, კერძოდ, ნათქვამია: ინდონეზია სავსებით უჭერს მხარს კამბოჯის წინადადებას, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია კამბოჯის ნეიტრალიტეტისა და საზღვრების გარანტიების შესახებ.

□ **დასავლეთ** ბერლინში კვლავ ძირდება კვების პროდუქტები და მასობრივი მოხმარების საქონელი. 1963 წლის დეკემბერში საშუალოდ ფასები გადიდდა 3,3 პროცენტით 1962 წლის დეკემბერთან შედარებით. ამასთან კვების პროდუქტების ფასები გადიდდა 4,1 პროცენტით, ბინების შენახვის ხარჯები წელიწადში გადიდდა 6 პროცენტით. (საკდესი).

ОТХИ ПРЕМИЕР-МИНИСТРИС თათბირი

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). „ციმომის" მოსაზრებანი — აი იმის მიზეზი, თუ რატომ არ მიიღო დღემდე ბრიტანეთის გვიანამ დამოუკიდებლობა, — განაცხადა ბრიტანეთის გვიანის პრემიერ-მინისტრმა ჩედი ჯაგანმა თათბირზე კინგსტონში (იამაიკა). ეს კარიბის ზღვის რაიონის ოთხი ქვეყნის — იამაიკის, ტრინიდად-ტობაგოს, ბრიტანეთის გვიანისა და ბარბადოსის მთავრობათა მეთაურების მეორე თათბირია. ასეთი თათბირების მოწვევა გამოწვეულია მათი მისწრაფებით შეიმუშაონ საერთო პოზიცია, რადგან იმ პირობებში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები გააფთრებით იბრძვიან თავიანთი გავლენის გაძლიერებისათვის ამ რაიონში, პატარა ქვეყნების გაძლიერებისათვის ერთხელ ერთმანეთს ებრძოლნენ ინდოეთი და პაკისტანი, ინდონეზია და მალაზია, ეგვიპტე და ისრაელი, ბელგია და კონგო, ინგლისი და ინდოეთი, ინგლისი და ავსტრალია, ინგლისი და ავსტრია, ინგლისი და ბურეთი, ინგლისი და ბერძენ-ბერძენ-ბერძენ-

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ტრაულერის ახალი რეისი

„შოთა რუსთაველი“ სამშობლოში დაბრუნდა

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც საოკეანო თევზჭერის ფლოტის ტრაულერი „შოთა რუსთაველი“ წყალში ჩაუშვეს. მაგრამ ამ მოკლე დროში მან უკვე ორგზის აიღო კურსი შორეული ზღვებისა და ოკეანეებისაკენ.

როგორც ცნობილია, პირველი რეისით, რომელიც კალინინგრადის ნავსადგურიდან დაიწყო, ტრაულერის ეკიპაჟმა გადასერა ბალტიის, ჩრდილოეთის ზღვები, ლამანშის სრუტე, ბისკაის ყურე და ატლანტიკის ოკეანე. მაშინ აფრიკის სანაპიროებთან მოპოვებულმა ნადავლმა 2 ათას ტონა თევზს გადააჭარბა.

ახლახან ტრაულერი მეორე რეისიდან დაბრუნდა, რომელიც სამ თვეს გაგრძელდა. როგორც ტრაულერის თავკაცებმა გვიამბეს, ამჯერად მათი სამუშაო უბანი იყო ინდოეთის ოკეანის ის ადგილები, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი თევზის რეწვისათვის. ამდენად მათი დავალება ძირითადად საცდელ ჭერას ითვალისწინებდა.

ტრაულერი უშიშრად კვალავდა უცნობ ადგილებს კონცხების ფარტაკის, დარჯის, შურავინის, კუნძულების საუკარის, კურია-ძურიის გაყოლებით. მუშაობა საკმაოდ ძნელ პირობებში უხდებოდათ, ვინაიდან იქ წყლის ტემპერატურა საკმაოდ დაბალია და მოუხედავად ამისა, ეკიპაჟმა დაიჭირა 560 ტონა თევზი.

რეისიდან დაბრუნებულ ტრაულერის ეკიპაჟს ფოთის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

ახლა ტრაულერის ეკიპაჟი მესამე რეისისათვის ემზადება, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის წინა დღეებში დაიწყება. „შოთა რუსთაველი“ კურსს კვლავ აფრიკის სანაპიროებისაკენ აიღებს, სადაც 5 თვეზე მეტს დაჰყოფს.

ა. კომაახიძე.

სურათზე: ტრაულერი „შოთა რუსთაველი“ შემოდის ფოთის ნავსადგურში, ფოთელი მშრომელები, საზოგადოებრიობა გულთბილ შეხვედრას უწყობენ სახელოვან მეზღვაურებს.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

მკითხველის კალმით

△ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სხვადასხვა ეროვნების — ქართველი, რუსი, ოსი, უკრაინელი, სომეხი, ებრაელი, ბერძენი სტუდენტები სწავლობენ. ამას წინათ აქ გაიმართა მეგობრობის საღამო. მოხსენება თემაზე „საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა“ გააკეთა ინსტიტუტის რექტორმა პ. დოგუზოვმა.

ვ. მელქოევი.

△ მაიაკოვსკის რაიონის ხოფელ გზაცილის კოლმეურნეობამ ააგო კანტორის ახალი კაპიტალური შენობა. ამავე შენობაში მოთავსდა კლუბი, რომელიც 400 კაცს იტევს. სოფლის მშრომელთათვის აქ მოეწყობა აგრეთვე ბიბლიოთეკა.

ხ. მესხი.

ნიჭი და ოსტატობა

ჩვენი სტუმრები

კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ევგენია მიროშნიჩენკო და უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ტიმოხინი შეხმატკბილებულ პარტნიორთა შეწყობილი ანსამბლით გამოვიდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ და გ. დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურში“.

ევგენია მიროშნიჩენკოს — „უკრაინის ბულბულის“ მაღალ ოსტატობას თბილისელები გაეცნენ 1962 წელს, როცა მომღერალი ჩვენს სცენაზე გამოვიდა. მსახიობის კოლორატურული სოპრანოს რბილი, ნათელი ტემბრი განსაკუთრებულ ყურადღებას აღწევს ზედა რეგისტრში. კოლორატურული ტექნიკის შემადგენელი ყველა კომპონენტი (რკოკაკი, სტაკატო, პასაჟების სისწრაფე) ნიჭიერი მომღერლის ნამდვილი სფერია. იგი თითქოს არ სჯერდება კომპოზიტორის მიერ მითითებულ ტესიტურას. ნაწარმოების ვოკალურ პარტიტურას იგი ამკობს ვირტუოზული კადენციებით და აოცებს მაყურებელს უკიდურესი ზედა რეგისტრებით. ე. მიროშნიჩენკოს -ვოკალური და სცენური ინტერპრეტაციის უბრალო, ბუნებრივი მანერა,მისი ფრაზირების მუსიკალობა და გამომსახველობა გასაგები, დამაჯერებელია და ხიბლავს მაყურებელს. ე. მიროშნიჩენკომ თბილი, ლირიკული ტონებით შექმნა ვიოლეტას სახე, ხოლო ნამდვილ ოსტატობას მიაღწია ლუჩიას პარტიაში, რომლის კულმინაცია ქკუაზე შეშლის სცენა მომხიბლველად ჟღერდა მომღერლის ხმა მესამე აქტის დიდ სცენასა და არიაში: უნაზეს პიანინოში, შესანიშნავ გამოძახილში ფლეიტასთან, კადენციების ნამდვილ კოლორატურულ ბრწყინვაში. მაყურებელთა დარბაზი ატაცებით მიესალმა უკრაინელ მომღერალს.

ამ ოპერების ძირითადი გმირების ალფრედისა და ედგარის პარტიებს ასრულებდა ვლადიმერ ტიმოხინი, რომელსაც ჩვენ პირველად მოვუსმინეთ.

მსახიობი ლაურეატია ბევრი კონკურსისა: მოსკოვში 1957 წელს, ტუსუზაში —1958, სოფიაში— 1960 წელს და ა. შ. ვლ. ტიმოხინის ხშირმა საგასტროლო გამოსვლებმა სპექტაკლებსა და კონცერტებში საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ მას წარმატება და ფართო აღიარება მოუტანა. გვირული სახე უფრო ახლოა მსახიობის ნიჭის ხასიათთან, ვიდრე ლირიკული პერსონაჟისა. ამიტომ ედგარის პარტია უფრო მკაფიოდ და გამომსახველად გაისმა, ვიდრე ალფრედისა. დიდი ვოკალური კულტურის, სცენური ტაქტისა და მუსიკალობის მსახიობმა ვლ. ტიმოხინმა როგორც ერთ, ისე მეორე სპექტაკლში ჩინებული მთამბეჭდველება მოახდინა მაყურებელზე. მსახიობის ყველაზე დიდი შემოქმედებითი წარმატებაა ოპერა „ლუჩია დი ლამერმურის“ დასკვნითი არია და ფინალი. მსახიობმა გვიჩვენა ტემბრიანი, ლამაზი ხმა, მტკიცე, მყარი ზედა რეგისტრები და შთამბეჭდავი ინტერპრეტაცია.

სპექტაკლებმა უკრაინელ მსახიობთა მონაწილეობით მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაიარა და დიდი წარმატება ჰქონდა თბილისელ მაყურებლებში.

მ. ბაქრაძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ტრავიატადან“. ვიოლეტას პარტიას ასრულებს უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ევგენია მიროშნიჩენკო (მარჯვნიდან მეორე)

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კოლექტივმა ქორეოგრაფ ვახტანგ კვესელაძის ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის იანვრის პირველ დეკადაში გასვლითი კონცერტები მოაწყო ახალციხის საწარმოო სამმართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ოზნის სახალხო თეატრმა დადგა ანტონ ჩეხოვის ცნობილი პიესა „თოლია“ (თარგმანი დ. ბუზუკაშვილისა). სპექტაკლის დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჯაფარიძეს.

დ. ხახიაშვილი.

ექიმის სახელოვნებაზე

მედიცინის სიახლენი

ნოვოსიბირსკის ტუბერკულოზური ინსტიტუტის კლინიკაში მაგადანის ოლქიდან მიიყვანეს მძიმე მდგომარეობაში მყოფი 19 წლის ლიუბა. იგი ბავშვობიდან დაავადებული იყო ძვლის ტუბერკულოზით. ბავშვს სიარული არ შეეძლო, მარჯვენა ფეხი მოდამა მოხრილი ჰქონდა თითქმის სწორკუთხოვნად.

ანტიბაქტერიალური საშუალებებით მკურნალობის კურსის შემდეგ ქირურგმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მიხეილ სვირეეევმა შეხლის სახსრი გაკვეთა და ტუბერკულოზით დაავადებული კერა მოაშორა. შემდეგ ექიმმა პლასტიკური მასალის — პოლივინილფორმალის ორ სიფრიფანა ფირცელს სკალპელით მისცა სახსრის ზედაპირის ფორმა და მუხლის ძვლებს მიაკერა ისინი.

ორი კვირის შემდეგ თაბაშირის სახვევი მოხსნა და ავადმყოფს სამკურნალო ტანვარჯიში დაუნიშნა სამი თვე რომ გავიდა, ოპერირებული ფეხის ყველა ფუნქცია აღდგენილი იყო. ახლა ლიუბა თავს კარგად გრძნობს. შრომობს და არა მარტო თავისუფლად დადის, არამედ თხილამურებითაც სრიალებს.

— ძვლის ტუბერკულოზი — მთელი ორგანიზმის მძიმე დაავადება —წინათ განუკურნებლად ითვლებოდა, — უამბო ახალი ამბების საგგენტოს კორესპონდენტს ქირურგმა მიხეილ სვირეეევმა.— მრავალი წლის განმავლობაში ლოგინად წოლა თაბაშირის სახვევით, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა —ყოველივე ეს ავადმყოფობის მხოლოდ დროებით ჩაქრობას იწვევდა. ქირურგიული ჩარევა ტუბერკულოზით დაავადებული კერის მოშორებით განისაზღვრებოდა. ამასთან წარმოშობოდა ანკილოზი — სახსრის უძრაობა, ავადმყოფი ინვალიდი ხდებოდა.

ანტიბაქტერიალური პრეპარატები და უახლესი ქიმიურ-თერაპიული საშუალებანი მძლავრ ფაქტორს წარმოადგენენ ტუბერკულოზის მკურნალობაში. სანატორიულ-ორთოპედიულ მკურნალობასთან კომპლექსში ისინი საშუალებას იძლევიან ქირურგიული ჩარევის დახმარებით მთლიანად განკურნონთ ავადმყოფები. ამასთან ძვლის ტუბერკულოზით დაავადებული ორგანოს ფუნქციები შენარჩუნებულია.

ცხრა წლის მანძილზე ასამდე ოპერაცია გავაკეთეთ. ოპერატიული ჩარევის ტექნიკა დამოკიდებულია ტუბერკულოზის კერის ხასიათზე. თუ, მაგალითად, მუხლის სახსარში მცირე დაავადებაა, კერას ვაშორებთ, ჭრილობას ყრუდ კერავთ, ვუნიშნავთ თაბაშირის სახვევს და ანტიბაქტერიალურ თერაპიის კურსს. დაახლოებით ორი-სამი კვირის შემდეგ ავადმყოფს ნება ეძლევა ყავარჯნებით იაროს, ორი-სამი თვის შემდეგ კი მას შეუძლია უკვე თავისუფლად, უჯოხოდ იმოძრაოს. ასეთ ოპერაციებს ვიყენებთ მენჯ-თეძოს, იდაყვის და სხვა სახსრების ტუბერკულოზის დროს.

იმ შემთხვევებში კი, როცა სახსრის შიგნით ტუბერკულოზით დაავადება დიდია, ხდება რეზექცია. სახსარი იცვლება პოლივინილფორმალის ფირფიტებით. ეს პლასტიკური მასალა თეთრი ფერისაა, ელასტიკურია, მის გარშემო ადვილად იზრდება შემაერთებელი ქსოვილი. პოლივინილფორმალი უზრუნველყოფს უტკივარ მოძრაობას ოპერირებულ სახსარში.

ი. ტვერსკოი.

ავიაციის ფრონტზე

ბრძოლა ბალტიკაზე

ოდესა, 15 იანვარი. (საკ.კორ.). 13 იანვარს ძლიერი ღელვის დროს ატლანტის ოკეანეს კადის ყურეში დაღუპა საბჭოთა მადაგასკარზედავი გემი „უმანი“. ეკიპაჟის 38 კაციდან გადარჩენილია 24, დანარჩენების ძებნა გრძელდება.

საბჭოთა თბომავალის უბედურების რაიონში პირველი აღმოჩნდა დასავლეთ გერმანიის გემი „ბიბლუსი“, რომელიც მაშინვე შეუდგა მაშველ სამუშაოებს.

კატასტროფა როგორც კი ცნობილი გახდა შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოში, ავარიის ადგილზე გიბრალტარიდან გაიგზავნა საბჭოთა ტანკერი „ლიხოსლავლი“ და საზღვაო ბუქსირი „გოლოვნოი“. საბჭოთა მეზღვაურების ძებნაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების გემები, თვითმფრინავები და ვერტმფრინავები.

მადაგასკარზედავი „უმანი“ თანამედროვე გემია. მისი წყალწყვა 11.080 ტონას ადგენს. იგი აშენებულია 1958 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ გემთსაშენში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მადაგასკარზედავს მეთაურობდა კაპიტანი ა. ნ. ტრობინი.

ამ ტრაგიკულ რეისში „უმანის“ ტრიუმვირში იყო 6.200 ტონა რკინის მადნის კონცენტრატი, რომელიც საბჭოთა კავშირისაგან შეისყიდა როტერდამის ერთ-ერთმა ფირმამ.

შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომლებიც მოწმობენ „უმანის“ მეზღვაურების არაჩვეულებრივ მამაცობასა და გამძლეობას. ისინი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ გემის გადარჩენისათვის და დატოვეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამაო იყო მათი ყოველგვარი ცდა.

კატასტროფა ზღვაში

ოდესა, 15 იანვარი. (საკ.კორ.). 13 იანვარს ძლიერი ღელვის დროს ატლანტის ოკეანეს კადის ყურეში დაღუპა საბჭოთა მადაგასკარზედავი გემი „უმანი“. ეკიპაჟის 38 კაციდან გადარჩენილია 24, დანარჩენების ძებნა გრძელდება.

საბჭოთა თბომავალის უბედურების რაიონში პირველი აღმოჩნდა დასავლეთ გერმანიის გემი „ბიბლუსი“, რომელიც მაშინვე შეუდგა მაშველ სამუშაოებს.

კატასტროფა როგორც კი ცნობილი გახდა შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოში, ავარიის ადგილზე გიბრალტარიდან გაიგზავნა საბჭოთა ტანკერი „ლიხოსლავლი“ და საზღვაო ბუქსირი „გოლოვნოი“. საბჭოთა მეზღვაურების ძებნაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების გემები, თვითმფრინავები და ვერტმფრინავები.

მადაგასკარზედავი „უმანი“ თანამედროვე გემია. მისი წყალწყვა 11.080 ტონას ადგენს. იგი აშენებულია 1958 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ გემთსაშენში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მადაგასკარზედავს მეთაურობდა კაპიტანი ა. ნ. ტრობინი.

ამ ტრაგიკულ რეისში „უმანის“ ტრიუმვირში იყო 6.200 ტონა რკინის მადნის კონცენტრატი, რომელიც საბჭოთა კავშირისაგან შეისყიდა როტერდამის ერთ-ერთმა ფირმამ.

შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომლებიც მოწმობენ „უმანის“ მეზღვაურების არაჩვეულებრივ მამაცობასა და გამძლეობას. ისინი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ გემის გადარჩენისათვის და დატოვეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამაო იყო მათი ყოველგვარი ცდა.

სპორტული ქრონიკა

□ მეხიკოში იმყოფება მოსკოვის საკლუბო გუნდების ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დიდ საერთაშორისო ტურნირში. ეს შეჯიბრება დაიწყება დღეს და 18 თებერვალამდე გასტანს. პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ექნებათ 19 იანვარს მექსიკის „ამერიკასთან“.

□ ბრინოგლაში დაიწყო ევროპის პირველობის გათამაშება ფიგურულ ცეგურაობაში, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის წარმომადგენლები. სტარტზე წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ჩემპიონმა ქალთა შორის პოლანდიელმა დიიკსტრამ, რომელიც სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერია.

... ეკონომიკა

... ელექტრონული გლოკირატორი

ლენინგრადის ეს სამსართულიანი შენობა მკვეთრი კონტრასტების შენობაა. საღარბაზო კართან ორ წარწერას ხედავთ. ერთი გამეხრთხო, რომ შენობაში მოთავსებულია კავშირგაბმულობის ცენტრალური მუზეუმი, მეორე კი იმას, რომ აქ მუშაობენ საქალაქო სატელეფონო კავშირის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები. წარსულის ტექნიკის შესწავლა და ხვალინდელი ტექნიკის შექმნა... უკანასკნელი დავინტერესდით, მით უმეტეს, რომ ინსტიტუტში ელექტრონული ბლოკირატორი შეიქმნა, — ეს კი ძალზე საინტერესოა თბილისისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების სატელეფონო ქსელების აბონენტებისათვის.

ბლოკირატორი მარტო ტექნიკური თვალსაზრისით როდი. იქცევს ყურადღებას, მის შესახებ ესმის ყველას, ვისაც ბინებში დაწყვილებული ტელეფონი აქვს, ვინც სახლში ტელეფონის გაყვანას მოელის.

...12 წლის წინათ საკმაოდ ცნობილმა სპეციალისტებმა მოიყარეს ერთად თავი. გრძელ მაგიდაზე ნახაზი გაეშალათ, იქვე ტელეფონის ხაზთან ბლოკირატორი იყო შეერთებული. ხელსაწყოსთან ორი ტელეფონის აპარატი დაეკავშირებინათ პარალელურად, მაგრამ მათთან დარეკვა ცალცალკე შეიძლებოდა როცა ერთი ტელეფონიდან ლაპარაკობდნენ, მეორეში არ შეიძლებოდა სიტყვების მოსმენა, და პირიქით. ავტომატური ტელეფონების სადგურში ერთი ხაზი მიდიოდა, იქე რომ ერთ ხაზზე ორი ტელეფონი იყო ჩართული.

— ყველაფერი გასაგებია, ელექტრული სქემა ორიგინალურია, ბლოკირატორის მაკეტიც დანიშულებას ამარლებს, ტექნიკურად ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ...

—მხოლოდ? — ვერ მოითმინა ავტორმა.

— საქმე ის არის, რომ ერთ ხაზზე ორი ტელეფონის ჩართვას ნაკლი აქვს, როცა ერთი აბონენტი ლაპარაკობს, მეორეს არ შეუძლია მასთან დარეკვა.

— კი მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი შემთხვევები იშვიათი იქნება, საბონენტო ხაზების გამოყენების კოეფიციენტი ბინებში 3-4 პროცენტს ძლივს აღწევს და აბონენტები ვერ იგრძნობენ ამას, — ამტკიცებდა ავტორი.

წინადადება მაშინ მაინც უარყეს.

გავდა წლები. ქალაქებში გრანდიოზული მშენებლობები გაიშალა, ყველა თხოულობდა ახალ ბინაში ტელეფონს. და ძვირადღირებული კაბელების 50 პროცენტით შემცირება მეტად სერიოზული პრობლემა გახდა. მართლაც,თუ ტელეფონები დაწყვილდა, 100-წყვილიანი კაბელის ნაცვლად საჭიროა 50 წყვილიანი ტელეფონის კაბელი. მკვეთრად გაიაფდება სახაზო ნაგებობათა მშენებლობა. დაჩქარდება ახლადგაშენებული კვარტალების ტელეფონიზაცია. რაც შეეხება იმას, რომ ბლოკირატორს „ნაკლი“ აქვს, — როცა ერთი აბონენტი ლაპარაკობს, მეორე ვერ დარეკავს, მოდით ამის გადაწყვეტა პრაქტიკას მივანდოთ, —აზრი იცვალა ზოგმა.

და აი ქარხნებმა დაიწყეს „ჩკვიანი“ ხელსაწყოების გამოშვება. ჯერ „უბ-2“, მერე „უბ-5“. არაფერი არ მოსხდარა. ბინებში ათასობით ტელეფონი დაწყვილეს, საჩივრები კი იმაზე, ტელეფონით ვერ ვრეკავ, როცა მჭირდებაო, იშვიათი იყო. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ერევანში ათეულ ათასობით ბლოკირატორი დადგა უკანასკნელ წლებში.

ცხოვრებამ დაკანონა „გონიერი“ ხელსაწყოების გამოყენება სოხუმსა და თბილისშიც, ახლა კი „დღის წესრიგში“ დადგა ტელეფონების დაწყვილება ქუთაისში. წარმოიდგინეთ, გუდაუთში უკვე ფართოდ იდგმება ბლოკირატორები და გეგეჭკორში კი მოითხოვენ...

ყველაფერი ეს გაგვახსენდა, როცა ინსტიტუტის კიბეებზე ავდიოდით და შესანიშნავ ლაბორატორიებს ვათვალიერებდით.

თუმცა, ისევ ბლოკირატორზე, ელექტრონულზე.

— რატომ გახდა საჭირო ახალი ბლოკირატორის შექმნა? არსებული ბლოკირატორები ვერ აკმაყოფილებენ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის განხორციელების პირობებს, — გვითხრეს ინსტიტუტში.

აი რა გამოირკვა.

სადღისოდ უკვე დამყარდა ავტომატური სატელეფონო კავშირი, მაგალითად, მოსკოვსა და ლენინგრადს შორის. მოსკოველი საკუთარ ტელეფონზე კრეფს ლენინგრადის ტელეფონის ნომერს. ავტომატური მოწყობილობა აღნიშნავს, რომელმა ტელეფონმა ისარგებლა საქალაქთაშორისო კავშირით, რამდენ წუთს ილაპარაკა და რამდენი უნდა გადაიხადოს. მერე ქვითარი აბონენტს სახლში ეგზავნება. მაგრამ ახლა წარმოიდგინეთ, ლენინგრადში დარეკა აბონენტმა, რომლის ტელეფონი ბლოკირატორთან არის შეერთებული. ავტომატურ ტელეფონის სადგურში გაურკვეველია, რომელმა მეზობელმა აკრიფა ლენინგრადის ნომერი. ისე რომ, შეუძლებელი ხდება გამომძახებელი აბონენტის დადგენა.

სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ელექტრონული ბლოკირატორის შემუშავება. ახლა ეს ბლოკირატორის მოქმედების პრინციპი უზრუნველყოფს გამომძახებელი ნომრის ზუსტად გამორკვევას.

მარტო ეს რიდია ახალი ელექტრონული ბლოკირატორის უპირატესობა არსებულებთან შედარებით.

ბევრ აბონენტს არა მარტო გაუგია სიტყვა „ბლოკირატორი“, საკუთარი თვალითაც შეუმჩნევია კედელზე დამაგრებული ხელსაწყო. იგი უმეტესად დერეფნებსა და სადარბაზოებში იდგმება. რასაკვირველია, ეს მოუხერხებელია, — მონტიორებს საქმეს ურთულებს. თანაც მონტიორებს უფლება არა აქვთ თვითონ გაასწორონ ბლოკირატორი, უნდა მოხსნან და სახელოსნოში წაიღონ.

ამას დაუფიქრდნენ ელექტრონული ბლოკირატორების ავტორები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. ფარაფონოვი და ინჟინერი ი. ფინკლერი. ინჟინრებმა გადაწყვიტეს ელექტრული სქემის ძირითადი კვანძი თვით ავტომატურ ტელეფონის საღგურში მოეწყოთ. ამას მიაღწიეს კიდეც და ახალ ბლოკირატორს ვერსად შეამჩნევთ, ვერც დერეფნისა და ვერც სადარბაზოების კედლებზე. ატს-ში იდგმება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ასობით სხვადასხვა ადგილას დადგმულ ბლოკირატორს ცვლის. ელექტრონული ბლოკირატორის მომსახურება უკვე ადვილია, რადგან თვით ატს-ის ელექტრომექანიკოსებს შეუძლიათ მათი შემოწმება-გასინჯვა.

გარდა ამ დადებითი მხარეებისა, — თქვეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა — ბლოკირატორს არ ესაჭიროებათ დამიწება, რაც არსებული ბლოკირატორებისთვის აუცილებელია. თანაც ხელსაწყოს ნებისმიერი ტიპის ტელეფონის აპარატი შეიძლება შეუერთდეს სრულიად გადაუკეთებლად.

— დამშაადდა თუ არა ელექტრონული ბლოკირატორების საცდელი ნიმუშები? — შევეკითხეთ ავტორებს.

— ლენინგრადში, კიევსა და სხვა ქალაქებში უკვე ასობით ახალი ბლოკირატორი მუშაობს, რომლებიც ჩვენი ინსტიტუტის საგქსპერიმენტო სახელოსნოებმა დაამზადეს.

გამოირკვა, რომ ექსპლოატაციის მუშაკები კმაყოფილებით შეხვდნენ ამ ტექნიკურ სიახლეს. ამაზე მეტყველებს სატელეფონო ქსელების ლაბორატორიების დასკვნები და თვით ელექტრონული სქემის ძალზე გონებამახვილური გადაწყვეტა.

საინტერესოა, რომ ელექტრონული ბლოკირატორების გამოყენება შესაძლებელია ძალზე პროგრესული სისტემის კოორდინატული ატს-ების ექსპლოატაციის დროსაც.

ლენინგრადის სატელეფონო კავშირის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა კარგი საქმე გააკეთა. წინ არის ძალზე საინტერესო ხელსაწყოს — ელექტრონული ბლოკირატორის დანერგვა.

და მეტად სასიამოვნო იყო, რომ ლენინგრადელმა კოლეგებმა თბილისელ მეკავშირეებს შესთავაზეს ამ ტექნიკური სიახლის დანერგვა თბილისში ან რესპუბლიკის რომელიმე ქალაქში. აღბათ ელექტრონული ბლოკირატორების გამოყენება თბილისში, ახალი ატს-4-ის მოქმედების რაიონში იქნება ყველაზე ხელსაყრელი.

ა. კარბელაშვილი.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.

ლენინგრადი.

... ინტერნაციონალური ... ...